საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი

2022

10.10.2023
www.geostat.ge

10.10.2023

მედიანური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით

2022 წელი

2022 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი გასულ წელთან შედარებით 15.6 პროცენტით გაიზარდა და 1040 ლარი შეადგინა.

2022 წელს მედიანური ხელფასი საშუალო თვიურ ხელფასზე 32.6 პროცენტით ნაკლებია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური და საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელი 2018-2022 წლებში.

დიაგრამა №1

მედიანური და საშუალო თვიური ხელფასი

(ლარი)



საქმიანობების სახეების მიხედვით, 2022 წელს, შედარებით მაღალი მედიანური ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

• სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება - 1 703 ლარი;

• ინფორმაცია და კომუნიკაცია - 1 637 ლარი;

• სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება - 1 547 ლარი;

• მშენებლობა - 1 500 ლარი;

• ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 1 425 ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი, საქმიანობის სახეების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა №2

დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი
საქმიანობის სახეების მიხედვით 2022 წელს
(ლარი)



10.10.2023

2022 წლის მონაცემებით, მედიანური ხელფასი საშუალო თვიურ ხელფასს ყველა სექტორში ჩამორჩება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასისა და საშუალო თვიური ხელფასის შედარება საქმიანობის სახეების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა №3

მედიანური თვიური ხელფასი და საშუალო თვიური ხელფასი
საქმიანობის სახეების მიხედვით 2022 წელს
(ლარი)



10.10.2023

საინფორმაციო ფურცელი

მომხმარებელთა მხრიდან ხელფასების სტატისტიკურ მონაცემებზე მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) დაიწყო შრომის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლის, დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასის წარმოება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე. მისი გამოქვეყნება დაგეგმილია წლიური პერიოდულობით.

საშუალო თვიური ხელფასის გასაანგარიშებლად საქსტატი ახორციელებს საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევას, რომლის ფარგლებშიც ყოველკვარტალურად დაახლოებით 15 000 სუბიექტი, ხოლო წლიური პერიოდულობით დაახლოებით 18 000 სუბიექტი გამოიკითხება. გამოკვლევა ითვალისწინებს საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან აგრეგირებული მონაცემების შეგროვებას სახელფასო ფონდის და დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ. აღნიშნული მხოლოდ საშუალო თვიური ხელფასის გაანგარიშების საშუალებას იძლევა და არ არის საკმარისი მედიანური ხელფასის დასადგენად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებული გამოკვლევის ფარგლებში მედიანური ხელფასის გასაანგარიშებლად, საწარმოებისგან/ორგანიზაციებისგან საჭირო იქნებოდა ინდივიდუალური მონაცემების მოპოვება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა რესპონდენტების ტვირთს. ამიტომ, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მედიანური ხელფასის გაანგარიშება მთლიანად ეფუძნება ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროებს.

შენიშვნები

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2.

საკონტაქტო პირები:
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge